საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7315
30/11/2022

7315-21-2-202211301708

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6011 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. დამია-გიურარხში მდ. დებედას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი და დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ დანართის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში, თუმცა, აღნიშნული დანართი დოკუმენტაციას თან არ ახლავს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დასაბუთებას საჭიროებს მდინარის კალაპოტის ზოგადი წარეცხვის ფორმულაში K კოეფიციენტის მნიშვნელობა, რომელიც პროექტში აღებულია - 0,27 ტოლად. ნორმატიული დოკუმენტები არ ითვალისწინებს აღნიშნული კოეფიციენტის ასეთ მნიშვნელობას. საჭიროა მოხდეს ჰიდროლოგიური ანგარიშის და შესაბამისად პროექტის კორექტირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ელექტრონული ხელმოწერა/ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო